შეგნებული ქართული საზოგადოება, როგორც იცით, ებრძოდა გამარჯვებულ პოლიტიკას. ამის წინააღმდეგ იყო მიმართული პოეზია, ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, საზოგადოებრივი სკოლები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, სადავლი-მამული ბანკები და სხვა დაწესებულებანი, რომელთაც საერთოდ და კერძოდ თვითუფლები ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება ჰქონდა. სასტიკმა გარუსების პოლიტიკამ მალა-წოდებდა ზედა ფენები მართალია შეარყია, მაგრამ ფართო შეგნებულ საზოგადოებაში წინააღმდეგ შედეგებს მიადრია, დასთესა სიძულვილი და გამოიწვია მტრობა რუსეთის ხელი-სუფლებისადმი, გამრავლდა ქართული საკულტურო საზოგადოებანიც, როდესაც სახელმწიფო დღეში გატარებულმა კანდაკოვის და მელიქიშვილის მეგობრობას უფრო მკიდრო კავშირი ჰქონდა. კანდაკოვიც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ოდესაში დაიწყო. აქ დასწერა მან თავისი გამოკვლევა ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. არც ერთს რუსის პროფესორს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის საქართველოს შესწავლაში როგორც კანდაკოვს. მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ხელოვნების შესწავლას. რასაკვირველია პეტრე ასეთი კაცის მეგობარი იქნებოდა. მან მიამბო თუ რა დიდი სახელი აქვს კანდაკოვი ვეროპის მეცნიერთა შორის, როგორი დაუღალავი მუშაობა და სხვა. შემდეგაც ჩვენი თავისუფლების დროს პეტრე სულ იმას მეუბნებოდა, კანდაკოვი როგორმე მოვიყვანოთ საქართველოში. უკანასკნელი შეხვედრის დროს მან მითხროა: საქართველოში დაიწყო ჩემი მეცნიერული მუშაობა და მინდა საქართველოში დავამთავრო. მე ვუთხარი პეტრეს, ნეტავი როგორმე მოვიდოდეს, თორემ ვინ იქნება წინააღმდეგი ის უნივერსიტეტში მოვაწყოთ და ყოველი დასამარტოებელი დასაჯებელი მეთოდი. ამ დროს არა ერთი გადმოქვეყნილი ცნობილი რუსის პროფესორი გვეყავდა მოწვეული უნივერსიტეტში და კანდაკოვი ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველი იყო. მაგრამ კანდაკოვი ბოლოშივე დასაჯების შემდეგ დასტავა რუსეთი და ჩვენ არც ვიცოდით, სად იმყოფებოდა. ბევრს ვეცადით, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მივაწოდეთ. სამი დღის წინად ჩვენი ტელისიანი გამოსვლისა. როდესაც მე ფილტვების ანთებით ავამთავრე, მაგრამ უკვე მოკვთებული, პეტრე მელიქიშვილი მიხეილის სამკურნალოში ვინახულა. მან მაინცა მომხატრა კანდაკოვის შესახებ. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ჩვენც თვითონ მოგვინდებოდა სამშობლოს დატოვება. შემდეგ გამოირკვა, რომ კანდაკოვი პარაგვის უნივერსიტეტში მოათავსებულ იყო და იქ განაგრძობდა სიკვდილამდის თავის მეცნიერულ მუშაობას. ხოლო ჩვენმა უნივერსიტეტმა ის, როგორც ვიცით, თავის საპატიო წევრად აირჩია.

სამეგრელო და აფხაზეთის შეერთების გარდა, ოსმალეთთან ომის შედეგათ რუსეთმა მიიღო ჯავახეთ-სამცხე (1828 წ.) და ბათუმ-არტანუჯის ტერიტორია (1878 წ.) ამ სამხედრო მოვლენათა წყალობით ძველი საქართველოს ტერიტორია გარეთიანებული და განმეორებული იქნა. ეს მოხდა რუსეთის ხიშტიის ძალით და რუსეთის იმპერიალისტურ ინტერესების გულისხმობით. მაგრამ ობიექტიურათ ამას ის ნაყოფი ჰქონდა, რომ საქართველო ისტორიულ-გეოგრაფიულათ განმრთვდა, ხოლო ეს საქართველო პოლიტიკურათ და ეროვნულათ მსაპობილი იყო, რუსულ გუბერნიებთ გადაქვეყნული; ეკონომიურათ და კულტურულათ ისეთი სუსტი და ჩამორჩენილი-განუვითარებული, რომ თავის ვინაობისა და ეროვნული მეობის აზრის დაკვირვებული იყო.

გროგოლ ორბელიანი ერთ თავის წერილში სოფია ორბელიანისადმი 1878 წ. სხვათა შორის შემდეგს წერს: «რა დაგვემართა, რა მოხდა, რა უხილავი მიზეზი აღმოვიჩინა ჩვენდა საუბედროსო, რომ ასე საზოგადოდ ვიღუპებოდნენ სწორედ იმ დროს, როცა გარეშე მტერი აღარ არის ჩვენთვის? ყოველ მხრიდან, ყოველის სახლიდან მოისმის მხოლოდ ხმა ვაგებისა და კენესისა; სიგლახებ მოახწია უკანასკნელ ხარისხამდის და სადა არის გამომხსენელი ჩვენი? ეს არის ის სახარელი ფიქრი, რომელიც მაწუხებს, მაწუხებს და მბერებს... ანუ როგორც იგივე რამაზ ანდრონიკაშვილის წერს: «რისგან მოხდა ესეთი სამწუხარო, მოულოდნელი ცვლილება, რომ ყოველის მხრით ისმის მხოლოდ ვაგების სიგლახისა? სიღარიბე შესუბა შთა მოამავლდა ჩვენი, დაუბნელდა გონება და ვეღარა მოუსარგებია მას საკეთილდღეოთ. ყოველი სახე გამოსტყვამს მხოლოდ სიმდარესა და უნუგეზობასა; ძნელია ასრეთი სამწუხარო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება აწინდელი საქართველო... (ალბათ გრიგოლ ორბელიანს კარგად ახსოვდა მის მთავარმართველობის დროს ტფილისში აჯანყება. — 1865 წ.) — გამოწვეული საქალაქო გადასახადის გადღებებით). ასე დასტურდა ქართველი ხალხის უბედურებას ჩვენი დიდი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ეხლა ხომ გარეშე მტერი აღარ გვაწუხებს და რა გვემართება, — მომსტყვამს იგი. კავკასიაში რუსეთის იმპერატორის მადლიერ გრიგოლ ორბელიანმა უკვე მიიღო პასუხი ამ მწარე კითხვებზე ილია ჭავჭავაძის მოხევის პირით: «რას ვაქნებ ცარიელ მშვიდობიანობას ცარიელ სტამბაქით... აღრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნენ... ეს პოლიტიკურ-ეროვნული ფილოსოფია ორბელიანისათვის ალბათ გაუგებარი დარჩა.

რუსეთის პოლიტიკას გარკვეული მიზანი ჰქონდა, როცა განაპირა ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას ხელს უშლიდა და ავიწროებდა. მართალია, რუსეთმა გაიყვანა ბაქო-ბათუმის რკინიგზა, მაგრამ ეს უმთავრესათ სამხედრო მისაზრებით, და ბათუმი, რომელიც ხელმეკრულების ძალით თავის სუფალი პორტი უნდა ყოფილიყო, მალე დახურა უცხოეთ-

ნომმა შეძლება მოგვცა კერძო საზოგადოებათა გახსნისა. წინეთ ეს შეუძლებელი იყო. მართალია ქარ. შორის წერა-კითხვა. საზოგადოება წინეთ იყო დაარსებული, მაგრამ შუამდგომლობა ამის შესახებ მაშინ იყო აღძრული, როდესაც რუსეთის ოსმალეთთან ჰქონდა ომი და ჩვენი გულის მოგებისათვის უფრო უფრთხილად ჩასთვალეს. მაშინ თავს გვიქონავდენ. პირველი საზოგადოება ახალის კანონით დაარსებული იყო «საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება». ამ საზოგადოებას ჩვენ განვებ ვრცელი პროგრამა დავესახეთ: მუშეუმი გახსნა, ბიბლიოთეკის დაარსება, ლექციების მონაწილეობას ამ საზოგადოებაში, მოღვაწეობანი, საეთნოგრაფიო მასალის შეკრება და სხვა. ეს საზოგადოება თანდათან მოღონიერდა, მიიზიდა ფართო საზოგადოების ყურადღება. რაიჩინა თავისი მუშეუმი, წიგნი საცავი, მოაწყო ლექციები, რეფერატები, გამოცემები, გამოცემები საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალანი და შეუდგა მხადებას საკუთარი მუშეუმის შენობის აგებისათვის. ჩვენი ნიჭიერი ისტორიკოსი და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას ამ საზოგადოებაში, მოდიოდა კანიკულებზე ტფილისში, კითხულობდა მოხსენებებს საზოგადოების სხდომებზე, მართავდა ლექციებს საზოგადოების სახელით და სხვა. რამდენათაც მე ვაკვირდებოდი ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობის განვითარებას, ჩემთვის აშკარა შეიქმნა, რომ მას გული ნაკლებად ერჩოდა რუსულათ ვერა თავისი გამოკვლევანი. გარდა პირვანდელი რამოდენიმე შრომისა და სამაგისტრო დისერტაციისა ყველა მისი საუკეთესო გამოკვლევანი ქართულად დაიბეჭდა. მისი მიმართულება ცხადი იყო, მას უნდოდა სამშობლო ენახოდ შეექმნა მეცნიერული კვლევა-ძიება. ასეთ ლტოლვილებამ მისთვის ერთგვარი უფრთხილობაც შეექმნა. მოუთმენელად მოელოდენ მის სადოქტორო დისერტაციას, რაც რასაკვირველია, რუსულათ უნდა დაწერილიყო, თითოეული მისი ქართულად გამოცემული გამოკვლევა მიანიჭებდა მას ამ ხარისხს რუსულად რომ დაეწერა. მაგრამ რაკი გული არ ერჩოდა, თავს ძალა ვერ დაატანა. სადოქტორო შრომა, რომელია დაწვეებულიც, დარჩა წარუდგენელი.

რაკი ჩემთვის ივ. ჯავახიშვილის მიმართულება აშკარა იყო და კარგად მქონდა შეგნებული აუცილებელი საქაროება, რომ უკვე გახდილს, გაფართოებულს და მოღონიერებულს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ჰყოლოდა ის სპეციალურად მომზადებული, ენერგიული და ნიჭიერი მკვლევარი, როგორც იყო ივ. ჯავახიშვილი, მე მიემართე მას წერილობითი წინადადებით, რათა თავისი მეცნიერული მუშაობა ტფილისში გადმოეტანა და გამხდარიყო თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ამ საზოგადოებისა. მაშინ ჩვენ ერთი კაცის მატერიალურად უზრუნველყოფა ასე თუ ისე შეუძლებელი. სხვები ვინც იქ მუშაობდით, უფრო მოყვარულნი ვიყავით სამეცნიერო შრომისა, ვიდრე სპეციალისტები. და მასთან ყელამდის დატვირთულნი ჩვენი საქმეებით, საბჭოს უმეტესად პედაგოგები შევადგენდით. იდეა რომ ქართველ საზოგადოებას ტფილისში ერთი კაცი ყოფილიყო სპეციალურად საისტორიო გამოცემლობისა და კვლევა-ძიებისათვის, კარგი ხანია მომწიფებული იყო ჩვენში. მაგრამ ამის განხორციელებისათვის სასარის არ იყო. მე მახსოვს ერთხელ განხილვებზე ილია ლომიძის მიმართული ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხევაძე, იაკობ ისარლოვი და მე, ცოტა ფული მაქვს ანდერძით დასატოვებელი და რა საგნისთვის სჯობს გადავსდომო? ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ განაწავა, სჯობია ეს ფული ფონდით დაიდევს რომ მაგის პროცენტით ერთი კაცის უზრუნველყოფა შევუძლოს. რომელსაც საისტორიო მასალათა შეკრება და დამუშავება ჰქონდეს მართლ საზრუნველოთ. მაგრამ სხვებმა და თვით ლომიძემ იმეჯობინეს, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის დატოვებინა, მის სოფელში სკოლის გასახსნელად და სტიპენდიისათვის. ბოლო დროს ნ. ლომიძემ ჩემის წინადადებით თავის ანდერძი ცოტა შესცვალა და ნაწილი თავის წყალობის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც დაუტოვა.

ივანე ჯავახიშვილს ჩემი წინადადება საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა. რაც პირადათ მოლაპარაკების დროს გამოირკვა ტფილისში. ის ყოყმანში იყო. კიდევაც გულით სურდა

სათვის. მრეწველობის უქონლობა, მცირე ვაჭრობა, და ისიც უცხო ელემენტთა ხელში, გაკორტებული თავდაზნაურობა, უმიწაწყო გლეხობა, ხალხის საერთო სიღარიბე. — ასეთი იყო მართლაც სამწუხარო და სავეალაო მდგომარეობა. ყველა ეძებდა გამოსავალს ამ დუხში პირობებიდან. ყველას სურდა სიღარიბისთვის მალამო დაედო. სივრცე მესხი ამის გამო სწერდა გაზეთ «დროება»-ში: «ეს გამწარებული ფაციფუცი, ეს ძებნა ადვილათ შესასრულებელი და ბევრის ფულეების მომცემი საქმისა და შრომისა, ჯერაც არ დაწყებულა. ეხლავე არანა ისეთი პირი, რომელიც იმედი აქვთ, რომელნიც სცილიდენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხადსხვა უსახელო კომპანიებს ადგენენ და სხვადასხვა. და ჩვენ სრულიადაც არ გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენის აზრით, ამგვარ ფაციფუცი, ამნაირ უსწორმასწორო და ბნელ გზაზე ხეტილის იმ ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავდგებით. თვით გამოგვაგებინებს და გვიჩვენებს, რომ შეუძრულებელი პროვოკების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უკერად მანქანის ძალით — გამდიდრების მაგიერ ჩვენ ბეჯით უსწვლავს, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შევუდქეთ...»

1875 წელში დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით დაარსდა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკი, რომლის ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძეს დაეკისრა, ასეთივე ბანკი დაარსდა ქუთაისში და ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა და მისწრაფება ამ ბანკების გარშემო დატბარიადა. მეორე მხრივ, ჩვენმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაპყრო სოფელს, რომლისთვისაც «სასოფლო გაზეთი» გამოიცა. გლეხთა განთავისუფლება მოხდა ჩვენში 1864 წ. და სამი წლის შემდეგ კი დიმიტრი ბაქრაძე პედაგოგად საერთო მიწათმოქმედლობისა და მუნიციპალიტეტის შესახებ. გაზეთი «დროება», ეურნალი «მნათობი» მოითხოვდენ ასოციაციების, არტელების, ამხანაგობათა და სათემო მიწათმოქმედლობის დაარსებას. ასეთი უტოპიური-სოციალისტური გეგმებზე თავის მტკრევა უბრალო და უმხიზოთ ენერჯის ხარჯვას წარმოადგენდა. ბატონობისა და გეგმის გამოიმჭრალ გლეხობისათვის ასოციაციებისა და არტელების მიწოდება, მუნიციპალიტეტისა და ქალაქები, — ისეთი უნადავო, უმარდვო აზრები იყო, რომ დღეს პირდაპირ სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს. აი მაგალითად, გაზეთ «დროების» პროგრამა: «ორ სამი სოფელი რომ შეერთდეს ერთად, ადვილად გახსნის ქალაქში პურის, ღვინის და სხვანაშუშვარის მაღაზიას, და რაც გასყიდი დარჩებათ, მოიტანენ ამ მაღაზიაში და გაჰყიდნან. ორ-სამ სოფელს, ერთად შეერთებულს, შეუძლიან ამ საქმის მოხდენა და თუ ანგარიშიან და თავიანად წაიყვანონ საქმეს, უკვევლია, ბევრი სარგებლობა ექნებათ» — ა. ი. დიმიტრი ბაქრაძის ეკონომიური ფი-

ტფილისში გადმოხვალა, მაგრამ ბევრ უფრთხილობასაც ითვალისწინებდა. კიდევ მოვიფიქრებო, უკანასკნელად, რომელია თან დაბრკოლებას იმაში ხედიდა, რომ მას არ შეეძებოდა საშვალეობა სისტემატიური ლექციების მოწყობისა, ვინაიდან ბოლო აუდიტორია, როგორც პეტერბურგში იყო, ის მაშინ ხელმძღვანელობდა არა მართლ აღმოსავლეთის ფაკულტეტის ქართველ სტუდენტებს, არამედ პეტროგრადის ყველა ფაკულტეტების ქართველ სტუდენტებს, რომელნიც ქართველოვანი შესწავლაში ჩააბა, კიდევ ის რომ ტფილისში ვერ იმოვიდა საქარო წიგნებს და სხვა. მანამ ამ საკითხს ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ გადასწყვეტდა, მოგვისწერა თებერვლის რევილიუციამ და იანგრა ცარიზმის ტახტი, დაარსდა დროებითი მთავრობა და მისი კომისარიატი ტფილისში, მოედო ქვეყანას პირველი აღდგოვანება უკეთესი მომავლის იმედისა, გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა, და ივ. ჯავახიშვილი უკვე შემუშავებული კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმით ჩამოვიდა ტფილისში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საქართველოს საკითხის გამგეობა ეწვევაში.

საქართველოს ინტერნაციონალური კომიტეტის თაოსნობით უნდა გამართულიყო ორი ლექცია ეწვევაში: ერთი საჯარო 21 მაისს ეწვევის უნივერსიტეტში და მეორე სპეციალური ახალგაზდობისათვის 22 მაისს სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების კლუბში. საქართველოს საკითხი საერთოდ შევიცარიაში და განსაკუთრებით ეწვევაში მეტად პოპულარული საკითხია. ჩვენ ამისთვის უნდა უმადლოდეთ საქართველოს კომიტეტის ინიციატივას. მის დაუშრეტელ ენერჯიას და რაც უმთავრესია, საქმის სიყვარულს. კომიტეტის შემადგენლობა განსაკუთრებულათ არის შერჩეული. გარდა ეან მარტენისა კომიტეტის ბიუროში შედიან თითქმის ყველა გამოჩენილი პროფესორები, მწერლები, და სხვა მოღვაწეები. რექტორი უნივერსიტეტის თითქმის ex officio-თ კომიტეტის წევრია; ეწვევის უნივერსიტეტის რექტორი ხშირად იცვლება და ძველი და ახალი რექტორები კომიტეტის წევრებთან ითვლებიან და საქართველოს საკითხის პოპულარობისათვის კალმით და სიტყვით ემსახურებიან. შეიძლება ითქვას, რომ არასად ვერობაში საქართველო და მისი მდები იმდენ სიმპატიას და გულმზურვალე თანაგრძნობას არ იწვევს, როგორც ეწვევაში. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის ინტერესი, რომლითაც წინა წლებში მთელი ეწვევის საზოგადოება შეხვდა ჯერ ჩხეიძის და შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარის ნ. ფორდანას. ეწვევაში ჩასვლას.

წელსაც მთელმა პრესამ აღნიშნა ე. გეგუქორის ეწვევაში გამოჩენა. ყველა მიმართულების გაზეთებმა პირველი ადგილი დაუთმო საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, მისი საგარეო მინისტრის სურათს და მოგვარაფას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრესა ხაზს უსვამდა მოსკოვის დელეგატების ცენონომიურ კონფერენციაზე უსახელო ტრაბანს რუსეთის შინაურ წარმატების შესახებ, მაშინ როდესაც საქართველო, ეს ერთ დროს აყვავებული ქვეყანა, დღეს ოკუპანტების მიერ გვერანებულ მხარეს წარმოადგენს. საერთოდ ე. გეგუქორის ჩამოსვლამ და მისი ლექციის მოლოდინმა ისედაც მტრული საზოგადოებრივი ატმოსფერა, მოსკოვის დელეგატების ირგვლივ შექმნილი, კიდევ უფრო დაამძიმა და ადგილობრივად მინისტრაციას აღუძრა შიში, რომ ე. გეგუქორის საჯაროთ გამოხსვლა არ გადაქვეყლიყო მრისხანე მანიფესტაციით «ძვირფას» მოსკოველ სტუმრებისადმი. ამ მოსაზრებით საჯარო ლექცია 21 მაისისათვის განჩახული, აკრძალეს. 22-ს კი რექტორმა სტუდენტთა ინტერნაციონალურ კლუბში სახეიმო მიღება გაუშარბათ ბ. გეგუქორის. კლუბის დარბაზმა ვერ დაიტია დამსწრე საზოგადოება. ხალხი კორიდორებში და კიბეებზე იდგა. გეგუქორის მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. რექტორმა რაპარბათ თავის გრძნობიერ და ძლიერ სიტყვაში მოუწოდა დამსწრეთ მხარი დაუჭიროე ქართველ ხალხს, რომელიც იბრძვის არა მარტო თავის უფლებებისთვის, არამედ დარაჯობს მთელს კულტურას ბარბაროსთა წინააღ-

ლოსოფია: «მამული ისევ საკუთრებათ დარჩეს პატრონისა, მხოლოდ ის კია, რომ ერთად შეერთება და მუშაობა, მოსავალიც მამულის და შრომის დავგარათ გაიყოფა ერთმანთში» — ა... ასეთი უტოპიური ნაროდნიკულ-სოციალისტური აზრების ქადაგება სწარმოებდა ჩვენში მე-80 წლებში! ავილოთ ახლა მოსე ქიქოძის წერილი, მას აწუხებს შემოთა საკითხი! მუშათა საკითხი მაშინდელ საქართველოში? მოსე ქიქოძე აყენებს საკითხს: რა სახით შეიძლება მუშები ჩაგვრისაგან განთავისუფლდენ? ქიქოძე უპასუხებს: «მასწავლებლებმა», როდესაც ეს საკითხი ახსოვდა მათ წინაშე, სთქვეს, რომ მუშებმა უნდა შექმნან სასოციალო... უკანასკნელის გვარ ამხანაგობა... შეიძლება მაშინ, როდესაც თანხის პატრონები მუშებს არა მარტო ქირას აძლევენ, არამედ წილს უდებენ წარმართის მოგებაში... და ს. ეს იყო უტოპიური სოციალისმის ქადაგება ჩვენში.

მიგნედოთ ახლა ბანკის საკითხს. ილია ჭავჭავაძე ბანკს უყუებდა ასე ვსთქვათ, ბურჟუაზიულათ. ნიკო ნიკოლაძე კი სოციალისტური უტოპიით გატაცებული მას ებრძოდა. 1876 წ. ნიკოლაძე სწერდა: «მე ყოველთვის, ყოველგვარ, ყველაფერში ევბრძობდი ამ მიმართულებას (ილიას და სხ.), იმიტომ რომ ვეკუთვნი «საზოგადოებრივ» მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება» — აქ სიტყვა «საზოგადოებრივი მიმართულება» ცენწურის გამო სოციალისტურის მაგიერ არის ნათქვამი. თავისთავათ. ისტორიული პირობების მიხედვით, ის მოგვლენა, სოციალისმის ქადაგება ჩვენში, — დიდათ კურიოზულია. ქართველ ხალხს ევირვებოდა ეკონომიური ცხოვრების განვითარება, სომხურ ჩარჩულ კაპიტალისაგან განთავისუფლება, და მას კი უტოპიური-სოციალისტური აზრებით უმასპინძლდებოდენ. ეს კი იმის დამახასიათებელი არის, რომ ქართველი განათლებული ინტელიგენცია, ის დიდი ნაწილი, რომელიც ამ უტოპიური სოციალისმით იყო გატაცებული, არ იდგა მშობლიურ ნიადაგზე, და უცხოეთიდან შემოტანილი ფრანგებით საზოგადოებას ართობდა. გულწრფელი იყო მათი მისწრაფება ქართველ ხალხს გაჭირებისათვის მალამო დაედოთ. მაგრამ ეს მალამო შეუფერებელი იყო! სულ სხვაა ილია ჭავჭავაძე და მისი დასი. ილია იდგა ორივე ფეხით ქართულ ნიადაგზე, მძიმეთ და მკვიდრათ იდგა იგი და იცოდა, რა უნდა ეკეთებია; ეს იყო: «პატარა ბურჟუაზიული საქმე». ქართველ უტოპისტ-სოციალისტების ქადაგებამ ნიადაგი მოუშნადა. ფსიქოლოგიურათ მინც, ჩვენში სოციალისტური იდეოლოგიის ქადაგებას.

(დასასრული იქნება)

D-რ. ვ. ნიწაძე.

მდეგე, დასასრულ მრავალნი ჩაეწერნ საქართველოს დამ-
მარე კომიტეტში.

21 მაისის ლექციის აკრძალვამ აღმოფხვრა გამოიწვია
მთელ საზოგადოებაში. შეტანილ იქნა შეკითხვები პარლამენ-
ტში, დაიწყო პრესის კამპანია. ე. გეგეჭკორის ლექცია გა-
მოცემულ იქნა კომიტეტის მიერ ცალკე წიგნით. თვით ვოი-
კოვის მკვლევარებმა კი ვერ გახელა ის ინტერესი. რომე-
ლიც აღძრულია ენგელსის საქართველოს ირგვლივ. მისალო-
დნელია, რომ საქართველოში, სადაც თავისუფალი სიტყვა
ძნელათ აღწევს, ეს ფაქტი დამახინჯებულათ გადასცენ საზო-
გადოებას. განა ბოლშევიკებს შესწევთ გამბედაობა სთქვან,
რომ მათ დელეგატებს ენგელსის ხალხის რისხვისაგან პოლი-
ციელთა გაძლიერებული კორდონები იცავდნენ, რომ მხოლოდ
შიშმა მრისხანე სახალხო მანიფესტაციისა საბჭოების წარ-
მოშობადნების წინააღმდეგ აიძულა ენგელსის ადმინისტრაცია,
აეღვრათ ლექცია?

უცხოეთის მოძრაობა.

ორი ქვეყანა.

ობიექტივობა მოითხოვს—გვსმენია ხოლმე თქმა—და
ამ შემთხვევაში ჩვენც უნდა აღვიაროთ გულახდილათ, რომ
კრემლის სტუდენტები მართლაც ამბობენ, როცა უპირდაპირ-
ბენ დღევანდელ რუსეთს დანარჩენ მსოფლიოს. ეს არი, მართ-
ლაც, ორი ქვეყანა, სულ სხვა და სხვა როგორც გარეგნულათ
ისე შინაარსით, როგორც სიტყვით, ისე საქმით. და ეს ორი
ქვეყანა, ვინაიდან, ყოველ შემთხვევაში, ერთსა და იმავე პლა-
ნეტზე არსებობენ, ერთმანეთს ეხმარებიან, ორი ქოთნის არ
იყოს, და ბოლოს იმით გაათავებენ, რომ ერთს მათგან გვერ-
დით ან სულ მთლათ ფეხები გაუფარდება. მაგრამ ვერ დავე-
თანხმებით კრემლულთ, ასე ვთქვათ. ინტერპრეტაციაში, ვი-
თომ ორი ქვეყნის დაპირდაპირება გამოიწვევს იყოს საბჭო-
თა სოციალ-დემოკრატიული «მღვწეობით», ერთის მხრით, და
კაპიტალისტურ ქვეყნების «შიშით» მათ წინაშე, მეორეს მხრით,
არა, აქ მიხვნი სხვა რამეა: კულტურასა და უკულტურობა-
ში, წინსვლასა და უკან ჩამორჩენაში, განათლებასა და სინებლე-
ში, ერთი სიტყვით, ცივილიზაციასა და ბარბაროსობაში. მკი-
თველი მიმდინარეობს, ამ პარალელურ რომელი ნახევარი ეკუ-
თვნის მოსკოვს. ჩვენ სამართლიანათ ვნათლავთ მოსკოვის გა-
ბატონებს სხვადასხვა არა საქებ ეპიტეტებით. მაგრამ ისტო-
რია მაინც იტყვის, რომ მიხვნი და ფესვი რუსეთის მიერ გან-
ვილი საშინელ უბედურებისა იყო: უკულტურობა, უკან ჩა-
მორჩენა, სინებლე და ბარბაროსობა. ჩვენ არ გვინდა სიტყვა
გავაგრძელოთ ამაზე და საბოლოათ მიმოვახედოთ თვალს ვე-
როპის ცენტრებს, თუ სად როგორ და რა სახით ცხადდება ეს
დაპირდაპირება.

ლონდონი

როცა ლონდონი სდებდა ხელშეკრულებას მოსკო-
ვთან, ის იმართლებდა თავს იმით, რომ ჩვენ კაც-უპირობესაც კი
ვეკვირითა, მაგრამ ის არ ამხელდა ზოგიერთ წრეების იდუმალ
ზრახვებს: ბოლშევიზმი ქვეყნელში გაავლებს რუსეთს და ის
ერთი 50 წელი არ იქნება ჩვენითვის საშიშია. პრაქტიკაში მარ-
თალი გამოდგა. რამდენათაც საქმე რუსეთის დაუმტკიცებას
ებება, უფრო შორს წასვლა თითქმის არ შეიძლება. განა რა,
თუ არა დაუმტკიცება. დაცემა და განიკვება. როცა დედა-მი-
წის შექვეყნის წარმომადგენელს კიწის კვრით ავტყებენ კარში
და თან აცხადებენ, არა, ჩვენ ომი არ გვსურს! ასეთი შეურა-
ცება, ასეთი გალანძვლა თავის ტოლს ეძებს საერთაშორისო
დამოკიდებულებაში. როგორც კი, პინუკი წვირილმანია თა-
ვისთავეთ, ლონდონიდან ლიტონიონი და კამენევიც კი გააბრ-
ძანეს წინეთ, მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ პირველი
ორის სახით თვით რუსეთი გააბრძანეს კარში! და რას შერება
მოსკოვი ამ დროს? ხელს იფარებს საჯდომზე და განაგრძობს
«ამხენებლობას!» კიდევ თუ ვინმე იგრძნობს ტკივილი ჯონ
ბულის წაღებისაგან—ეს რუსის ემიგრაციაში, განუტრეხლათ მი-
მართლებს. ტყუილათ ხომ არ დაჰყვენ ამდენი წელი დასა-
ვლეთში. მათ შეიგნეს ეროვნული პატივმოყვარეობა. მოსკო-
ვი ეს «ბურჟუაზიულ კრუმორწმუნეობად» არის გამოცხა-
დებული. ჩვენ არ შეგვიძლია შეგვირდეთ ინგლისის პარლამენ-
ტის დებატებზე, რომელმაც ცხად ჰყო, თუ რამდენათ
დაპირდაპირია მოსკოვიტების წარმოდგენა სინდისზე. პატი-
ოსნებაზე, სირცხვილ-ნათესებ ვეროპიელთა წარმოდგენისა
განა, რა შუაშია პრაღა-ბრატის, სოციალიზმი ან სხვა რამე,
როცა ტრავაისტი-დემოკრატებიც კი სასტრატო დარჩენ მთავრო-
ბის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტების წინაშე! და იმის მაგიერ,
რომ თავს დასამოძინებ ბოლშევიზის მთავრობას, თავიზიანთ
მოთხოვნად საგამომიქებლო კომისიის დანიშვნას მათთვის
სა სრულიად მიუღებელ ფაქტების შესამოწმებლათ. ტრე-
დუნიანებს, მეორეს მხრით, ძვირათ დაუჯდათ მოსკოვის მხა-
რის დაქურა: საზოგადო აზრი ისე შეტრიალდა მათ წინააღ-
მდეგ, რომ მთავრობამ შეუშინებლათ შესძლო მათი სტატუსის
შემზღუდავი ბილის გატარება.

პარიზი

როგორი გამომსაურება ჰქონდა ინგლის-რუსეთის გაწყვე-
ტას პარიზში შემარჯუნე პრესა ხარობს და მოითხოვს ლონ-
დონის წაბაძვას, შემარჯუნე არ იწონებს ასეთ ნაბიჯს, თუმცა
სასტრატო გმობს მოსკოვის ვერა და დაუნდობელ მუშაობას
ყველგან. მთავრობა სდუმს, თუმცა არაპირდაპირ უკვე სჩანს
მისი სულისკვეთება, როცა მისი წევრები სარო და ბარტუ
სასტრატო კომპანიის ეწვეიან ფრანგ კომუნისტების წინააღმდეგ
უარაღმებრში და მის გარეთ. დამტკიცებულა სრულიად
ჰალო ფაქტებით, რომ მოსკოვი ინახავს და ხელმძღვანელობს
ფრანგ კომუნისტების დამგრე მუშაობას ქარხნებში, დაწესე-
ბულეებში, ყაზარებში. მაშასადამე, მოსკოვთან გაწყვეტის
კითხვა აქაც ისმის და, რაც დრო გადის, უფრო აქტუალური
სხვება იგი. ეს მით უფრო, რომ საფრანგეთ-რუსეთის მოლაპა-
რაკება არც კი არსებობს ფაქტურათ. ეგონათ, ჩიჩერინის ჩა-
მოსვლა დასძრავდა მას გაყინულ წერტილიდან. ამათ. დე
მონში, მოსკოვის მეგობარი, სულაც კი გადაიკარგა ბალკა-
ნეთში, როცა ჩიჩერინი აქ მინისტრებთან დარბაზობდა. ცი-
ვით მიიღეს და შეუშინებლათ გაისტუმრეს. ამ რიგათ არ ცი-
ვართლდა მოლოდინი, ვითომ მოსკოვი დიდ დათმობებს გა-
აკეთებდა პარიზში, რომ ამით ლონდონზე გული მოეფხანათ.
არჩევნები მოახლოებულია, არის აშკარა ნიშნები, რომ მთავ-
რობა თავის პლათონებზედ კომუნისტებთან სასტრატო ბრძო-
ლას წააწერს. საერთადადობა, რომ ძველი კარტელისტ-მინი-
სტრებიც, ერიოს მეთაურობით, პუანკარეს ხაზს იზიარებენ,
რომ საჭიროა ბოლო მოეღოს კომუნისტების ანტიეროვნულ
მუშაობას.

ბერლინი

გერმანიის მთავრობამ მაშინვე ნეიტრალიტეტი გამოაცხა-
და ინგლის-რუსეთის კონფლიქტში: ლოკარნოც მსურს და
რაპალოცო, კარგი დამოკიდებულება დასავლეთთან. ლოკა-
რნოცა რუსეთთან. მოსკოვიც მის უხერხულ მდგომარეობაში
ჩაყენა, როცა სთხოვა რუსეთის ინტერესების დაცვა ინგლის-
ში: უარი ვერ სთქვა და თან სწყველიდა უტიფრებს გულში.
სტრუქციონალიზმი ჩადის ბადენ-ბადენში და ჩიჩერინი ეწვევა მას
საუნებდ. ამ დროს გავარდნა კვერდის ტყვია ვარშავაში

და სტრუქციონალიზმი სარგებლობს ამ შემთხვევით, რომ ურჩიოს
თავის სოციალურ ზომიერებას. ჩიჩერინი პირდება და მოსკოვი
ასრულებს: გერმანიის 20 მძევალ გაუსიმართლებლათ! ამ ყაჩა-
ღურმა აქტმა გააშუშა ვერა და არა ნაკლებ გერმანია. არ-
სათ, შეიძლება, ისე სასტიკათ არ დაუგმიოთ მოსკოვის ეე-
სტი, როგორც იქ. ამან ერთბაშით მოატრიალა საზოგადო-
აზრი და ჩვენ უკვე ვიცით შედეგი რანსტაციის სხდომიდან.
სადაც ერთბაშით მოიწონეს სტრუქციონალიზმი. ამ სახით კმა-
ყოფილია მოსკოვიცო. სწეს «ინგესტია», იქ ესლა ძალიან
ცოტათი კმაყოფილებიან! სტრუქციონალიზმი საჯაროთ დაჰგმო
კომინტერნის (ვითომ არ იცის მისი დამოკიდებულება პო-
ლიტიკურსთან!) დამრღვევი მუშაობა უცხოეთში. ინგეს-
ტია უმრწემეს, დიან. სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევა დაუ-
შვებელია! ამიტომ ის პროტესტს აცხადებს, მიჰქარავთ,
როცა გაეუფეს საქმეებში ერევითო. ეს დეტალებია. მთავარი
იხსია, რომ გერმანია განაგრძობს დასავლეთთან. პირველ რიგ-
ზედ, საფრანგეთთან დაახლოების ხაზს; იღებს კანონებს, რო-
მელიც ამოსწორავს განიარაღების სადაო კითხვებს და შემდეგ
დადგება კითხვა რენანიის ვეკუაციის. არ მართლდება ზოგი-
ერთ მრწველთა იმედებიც: ინგლისის ადგილს ჩვენ დავიკვირთ
რუსეთის ბაზარზედ. მოსკოვი თუ ვაჭრობდა ინგლისთან, ეს
უმთავრესათ ბანკების დახმარებით. შეუძლიათ გერმანიის
ბანკებს ინგლისის ბანკების მაგიერობა გასწიონ? არა, რა თქმა
უნდა. ჯერ ის სესხიც, რომელიც მათ მისცეს, საქონლის სახით,
რუსეთს. ინგლის-ამერიკის ბანკების საშუალებით გაკეთდა.
გერმანიისათვის სასიფათოა, მეორეს მხრით, მისმა ოპერაციე-
ბმა რუსეთთან, ნდობა არ დაუკარგოს ანგლო-საქსების ქვეყ-
ნებში და მით თვითონ მას არ მოუსპონ კრედიტები, რომელ-
საც ასე ბლოკით იღებს მათგან.

ქენეცა

ერთა ლიგის რევილენციოში წინასწარი ჯამი გაუკეთდა
ხემა თქმულთ. იქ იყო სწორეთ საბჭოს მორიგი სესია და, თუმ-
ცა წეს-რიგში არც ერთი საყურადღებო კითხვა არ იყო ჩანი-
შნული, ჩემბერლენი, ბრინი და სტრუქციონალი იქ გაუშურენ!
იქ გამართულ მოლაპარაკების მონაწილენი აცხადებენ, რომ
არ ფიქრობენ მოსკოვის წინააღმდეგ სამხედრო ბლოკის შე-
ქმნას. მაგრამ მით უფრო ხაზგასმით აცხადებენ ისინი, რომ
თვითელი სახელმწიფოს სასტიკათ შეებრძოლებას, საკუთარი
ზომებით. ბოლშევიკების პროპაგანდა-აგიტაციას.

ამ რიგათ, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშო-
რისო მასშტაბით, წეს-რიგში ისმის. ეს არ არის მეტერნის
«საბლეო კავშირი» რევოლუციის წინააღმდეგ, როგორც
ამას «ინგესტია» ჩამახას, არამედ თავდაცვა ბოლშევიკურ სი-
სხლიან ბარბაროსობისაგან.

ფრანგი მოგზაურები საქართველოში.

(მოსხენება წაკითხული ქართველთა საზოგადოებაში
1927 წ. აპრილში).

მიზანი მოსხენებისა იყო გაეცნო პარიზის ქართველებისა-
თვის საქართველოს წარსული, იქ ნახული და გავონილი
ფრანგ მოგზაურთა ნაწერების მიხედვით. ესენი არიან: გიომ
დერბურევი (მე-13 ს.), ტავერნიე, შარდენი (მე-17 ს.), ტურ-
ნეფორი და პეისონელი (მე-18 ს.).

ყურადღების ღირსნი არიან ეს მოგზაური მით უფრო,
რომ მათ ხელი შეუწყვეს საქართველოს გაცნობას ევროპის
მიერ და სპარსეთ-ინდოეთთან ერთად ჩვენს შორეულ წარ-
სულს თუ აწმყვას აცნობდნენ მაშინდელ დასავლეთს. პირ-
ველ მოგზაურად საქართველოში უნდა ჩაითვალოს გიომ დე-
რბურევი, დაბადებით ბელგიელი, მაგრამ ფრანგი პატრიოტი,
რომელსაც სადილობატი მისისა ახლო აღმოსავლეთში მიან-
და ლუი მე-9-მ ანუ სენ ლუიმ 1253 წელს. ის სწერდა წერი-
ლებს სახით ინფორმაციებს ლათინურად და თარგმნილია
ფრანგულ-ინგლისურ-პოლანდიურ ენებზე. მას თან ახლდა სა-
ქართველოში მოგზაურობის დროს, ბერი მისიონერი—ბერ-
ნარდ კატალიანი, რომელიც კარგად იცნობდა უკვე ჩვენს ქვე-
ყანას, უდავოდვედა ციხე-ნანგრევების დათვალიერებას და
მიაქვდა მის ყურადღებას ერის დიდს წარსულსაც.*

ფრანგული ლიტერატურის ისტორია (მე-14—16 საუკუნე-
თა) არ იძლევა არც ერთ მაგალითს საქართველოში მოგზაუ-
რობისა და რუბრიკის მიმდევრად უნდა ჩაითვალოს ე. ბ.
ტავერნიე (გარ. 1690), პროფესორი ჟურნალისტი და ბავშვო-
ბიდანვე მოგზაურობის მოტრფილვე. აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს ის უწოდებს «Gurdje»-ს და დასავლეთს «Colchide»-ს.
«მცხოვრებლებს აქვთ დიდი მიდრეკილება ვაჭრობისადმი და
განირჩევიან სხვა მეზობელ ერთაგან ომში სიმაძლე-»-ო. გა-
კვირთ მოიხსენიებს ფრანგი მოგზაური მაშინდელ სამართლის
წარმობას ჩვენში. კაცის კვლა ისჯებოდა სიკვდილით და მკე-
ლელს კი შეეძლო თავის დასხნა, მიჰკვირდა 60 ძროხას მოკ-
ლულის ნათესავთა ან მათ ღირებულებას. კანონმდებლობა იყო
აშენებელი წინადა ქართულ ბუნებაზე და სამართლის გადაწე-
ვებაში უფლება ჰქონდათ მხოლოდ ქრისტიანეთა. სწორი
ომები, მუდამ ხიფათში ყოფნა საზღვრების ნებას არ აძლევ-
და მამაკაცთ სწავლისას და ამით აიხსნება, რომ ქალები უფ-
რო განათლებულნი არიან ახლო აღმოსავლეთის ამ კუთხეში
და ს.

მას მოჰყვა საქართველოში უდიდესი ფრანგი მოგზაური
და ცნობილი მწერალი ე. შარდენი (გარ. 1713). თქომ შექველი
ისევე როგორც მისივე წინა მორბედი. ის მიღის სპარსეთისა-
კე მკვირვარსელობით დატვირთული და შეჩრდება 20 თვით
აფხაზეთ-სამეგრელო-ქართლოში (1671—72 წწ.). ის იხსენიებს
საქართველოს «ივერიის» სახელით. ეს ერი არის ფრიად მუსი-
კალური და სიმღერას არ იშლიან მუშაობის თუ მწუხარების
დროსაც კიო. ქართველი ქალის სილამაზე იპყრობს შარდენის
ყურადღებას და შენიშნავს, რომ მათი მზერა ყოველთვის თვე-
დება სიყვარულითო. მას ინახულებს იოს. ტრეველი და ფრან-
გი მოგზაური გადაუშლის მას ევროპის მდგომარეობის სუ-
რათს, აგრეთვე მრავალ გეგმებს ევროპა საქართველოს შო-
რის სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობის შესაძლებლობის
შესახებ. მისი ნაწერები შესწავლა, იქ მოყვანილი ქართული
სიტყვები, ღრმა ცოდნა ერის ხე-ჩვეულებათა, სიყვარული
ქვეყნისადმი და სხ. გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ შარ-
დენმა იცოდა ქართული ენა საქმარისად. შემდეგი მოგზაური,
რომელმაც ინახულა საქართველო, არის ფრანგი მეცნიერი—
ე. ბ. ტურნეფორი (1708), პროფესორი ბოტანიკოსი და მოუ-
სვენარი მოგზაური ევროპა-აღმოსავლეთში. საქართველოს ის
უწოდებს «ულამაზეს ქვეყანას დედა-მიწისა» და განცვიფრე-
ბით იხსენიებს სტუმართმოყვარეობა—თავზიანობა-რანდო-
ბას მკვიდრთა. თუ შარდენი იმყოფებოდა ტრევრნიის გავლენის
ქვეშ, ტურნეფორი სავეგებით ტყვეულია შარდენისა და
იმეორებს მას.

ე. ტურნეფორის შემდეგ ესტუმრება საქართველოს საფ-
რანგეთის კონსული სმირანო—შარლ პეისონელი მამა, რომ-
ლის შრომა: «Relations des Voyages au Levant» (1747) რჩება
დღემდე დაუბეჭდავი. მის ნაწერთა და გადმოცემათ მიხედვით
სწერს საქართველო-სპარსეთის ურთიერთობათა ისტორიას
შ. პეისონელი-შვილი, ისევე ცალკომბატი, როგორც მამა. მის

ნაწერთა შორის ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის—
«Mémoire historique» (1777). რომელიც ინახულა კონსტან-
ტინოპოლის ხელნაწერთა შორის (Mss. H. № 33, 1777, nouv.
acquisit.). ხელნაწერი შეიცავს 116 ფურცელს (101 ქართულს
«10 თებერვლის» თარიღი. მისი დაწერილებები უთხოვრადი-
ულნი). მისი აზრი კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის შესა-
ხებ არიან საინტერესონი და ღირსნი ყურადღებისა.
მ. ბერძიცი.

ქართველები ხაღრანგეთში.

26 მაისის ტრადიციული დღესასწაული მიმდინარე წელს
პარიზის ქართულმა კოლონიამ ზემოთ გადაიხადა. ვრცელი
კოლეც დე ფრანსის სააკტო დარბაზი სასველ დამსწრე საზო-
გადოებით. დღესასწაულს ყველა კავკასიის ერების და უკრაინის
წარმომადგენლები დაესწრნ. უკრაინელებიდან მოვიდა
დელეგაცია 30 კაციდან შემდგარი ს. ტოკარჯევსკის მეთაუ-
რობით, სომხებიდან ალ. ხატისოვის და აგარონიანის მეთაუ-
რობით, აზერბეიჯანიდან ტოპჩიანიშვილი, მთიულეთიდან ბამა-
ტი, კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნ ვ. დამბაშიძის სახელზე მო-
ვიდა მისალოცი დეპუტები, როგორც მთავრობის თავმჯდო-
მარე ბ-ნ ე. ჟორდანიასაგან ისე მრავალ უცხოეთის გამოჩენილ
საზოგადო მოღვაწეებისაგან და საქართველოს მეგობრებისა-
გან. პროვინციაში მყოფ ქართველებში მოულოცეს პარიზის
კოლონიის ეროვნული დღესასწაული. კრება გახსნა პარიზის
ქარ. კოლონიის თავმჯდ. ბ-ნ ვ. დამბაშიძემ, რომელმაც ქარ-
თველობას მოულოცა დღესასწაული, დამსწრე უცხოელებს
კი მადლობა გამოუცხადა მილოცვისათვის. ვრცელი პოლი-
ტიკური სიტყვა წარმოთქვა ბ-ნ დ. შარაშიძემ. საკონცერტო
განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნ ელ. ვაჩაძემ, ლ.
პაპუაშვილისა და მომღერლებმა ბ. ივანიძემ, ნანობაშვილმა
და პიანისტმა ირაკლი ორბელიანმა.

— კ. ჩხეიძის გარდაცვალების წლისთავი. კვი-
რას ივნისის 12 პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ნაშუადღევს სამ
საათზე დიდძალმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კ. ჩხეიძის გარდაცვა-
ლების წლისთავის აღსანიშნავად. იყვნენ საქართველოს მთავ-
რობის თავმჯდომარე ე. ჟორდანი, მთავრობის წევრები, სა-
ქართველოს ელჩი საფრანგეთში ავ. ჩხენკელი. პოლიტიკური
მოღვაწეები და სხ. თითქმის ყველა მოვიდა თავიანთი
გვირგვინებით, პატარატარა კომებით და განსვენებულის საფ-
ელო მთლად ცოცხალ ვარდებით და ყვავილებით შეიმკო.
სიტყვა წარმოთქვა ვლ. მკვაძემ, რომელმაც მოუწოდა და-
მსწრეთ განსვენებულის ანდერძის პატივის ცემისთვის—სიმ-
ტიკისა და ერთობისათვის სამშობლოს დამოუკიდებლობის
აღსადგენად.

ქართველები გერმანიაში.

26 მაისის დღესასწაული წელს განსაკუთრებული ზემოთ
ჩატარდა. კოლონიის თავმჯდომარემ გიორგი კერესელიძემ
დაახასიათა 26 მაისის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორია-
ში და გამოთქვა მტკიცე რწმენა ქართველი ერის გამარჯვების
შესახებ. კრებას მიესალმა მთავრობის სახელით საქართვე-
ლოს წარმომადგენელი გერმანიაში ბ. ვლ. ახმეტელი. ადერბეი-
ჯანის დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით მიესალმნ
კრებას ამ კომიტეტის წევრები. სომხების წარმომადგენელმა
გამოგზავნა თავისი მისალმება. მიღებულ იქნა აგრეთვე დეპე-
შები ბერლინის კოლონიის უცხოელ მეგობრებისაგან. სიტ-
ყვები წარმოთქვამს ს. სოც. დემ. პ. ბერლინის ორგანიზაციის
სახელით ბ. ნახაძემ და ს. ნაც. დემ. პარტიის სახელით ბ. ტი-
ტე მარგველაშვილმა. წარმოთქმულ იქნა სიტყვები სხვების
მიერაც. მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ჟორდანიას გაეგზავნა
მისასალმებელი დეპეშები და კრება უკვე გვიან «დიდების»
სიმღერით დასრულდა.

ქართველები პოლონეთში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს
— 26 მაისს—პოლონეთის საზოგადოება იშვიათის თანდარწო-
ბით და ყურადღებით შეხვდა. მთელი პოლონეთი გამოეხიზნა
რა დღესასწაულს. არ დარჩენილა ვანეთი უკიდურეს მემარ-
ჯვენეებიდან უკიდურეს მემარცხენეებამდე რომ ერთი ან ორი
წერილი არ მოეთავსებოდა საქართველოს შესახებ. ერთმა
ორგანომ (გლოს პრაიდი) მთელი ნუმერი უძღვნა საქარ-
თველოს ისტორიულ-პოლიტიკურ-ლიტერატურულ მიმოი-
ლვას და მოათავსა სურათები ჩვენი ისტორიული და თანამე-
დროვე პოლიტიკური მოღვაწეების, აგრეთვე ფაქსიმილე ჩვე-
ნი დამოუკიდებლობის აქტისა. 26 მაისს ვარშავის რადიომ
მთელს პოლონეთს აუწყა, რომ ეს დღე საქართველოს დამოუ-
კიდებლობის გამოცხადების დღეა. ქართველთა კოლონიამ
დღესასწაული გამართა კვირას 29 მაისს. რომელსაც აუარებელ
პოლონელი საზოგადოება დაესწრო. და მთელი ზეიმი გა-
ნუწყვეტელი ოვაციები იყო საქართველოს დამოუკიდებლობის
სიხსნისთვის. სიტყვები წარმოთქვეს ი. სალაყაიამ და ვ. სეროშე-
კიმ. მეტად საინტერესო იყო საკონცერტო განყოფილება,
რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სხვათა შორის ქართველმა
მომღერალმა ბ. სიხარულიძემ.

ქართველები ჩხვლ-ხლოვკაიაში.

26 მაისობა აქაურმა ქართველობამ დიდის ზემოთი დღესას-
წაულად აღიქვა ქართველებისა დღესასწაულს დაესწრნ ჩხეიცი.
ამ დღესვე გაიმართა დამფუძნებელი კრება საქართველოს
დამოუკიდებლობის მეგობრებისა ჩხვლ-ხლოვკაიაში სენატის
თავმჯდომარის ამხანაგის სოუჟუპის თავმჯდომარეობით.
კრებას დაესწრო მთელი რიგი სენატორებისა, დემუტატებისა
და ჩხეელ პარტიების წარმომადგენლები. აირჩიეს გამგეობა,
თავმჯდომარედ სოუჟუპი.

ქართული საბჭოკვლამე.

პარიზის ქართულმა კოლონიამ უცხოეთის მოწას მიიბარა
კიდევ ერთი პოლიტიკური ემიგრანტი, ახალგაზდა შოთა სარ-
ჯველაძე, მსხვერპლი საქართველოს საერთო უბედურებისა.
გურისის გლეხის შვილი შოთა ადრე ჩაებდა მეფის თვითმპყრო-
ბლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხლოო საქართველოს გან-
თავისუფლების შემდეგ მთელი თავისი ძალ-ღონე და ახალგაზ-
დობა მოახმარა სამშობლოს სამსახურს. მას ეკირა სხვადასხვა
ადმინისტრაციული პოსტები, ხლოო უკანასკნელათ იყო ნა-
ლის მიერ არჩეული სოფ. ჩიბათის კომისროთ. საქართველოს
ოკუპაციის შემდეგ შოთა იძულებული იყო ტყვე გაუბრძოლიყო
და მხოლოდ 1922 წელს გამოიხიზნა უცხოეთში. ტყვეში ცხა-
ვრებამ შესძინა მას ქუეტი. უცხოეთში თავის სარჩენათ ის
იძულებული იყო მძიმე მუშაობა ეკისრა, რაც მის სწეულებას
ახარბობდა და ბოლოც მოუღო.

მის დასაფლავებას დაესწრო პარიზელ ქართულ კოლონი-
ის დიდი ნაწილი.
ამხანაგი.

Redaction et Administration.
M. J. GORETCHIA
18, rue des Acacias, Paris.